

## ტიპობრივი საგამოცდო ტესტები - ფარმაკოლოგია 2

☒ რა სახით მოიპოვებიან ალკალოიდები მცენარეში?

1. არაორგანულ მჟავათა მარილების სახით
2. ფუძეების სახით
3. ორგანულ მჟავათა მარილების სახით
4. რთული ეთერების სახით

☒ რომელი ნივთიერებების აღმოჩენა ხდება დრაგენდორფის რეაქტივით?

1. ცხიმების
2. საგულე გლლიკოზიდების
3. კუმარინების
4. ალკალოიდების

☒ რომელია ძირითადი მიკროსადიაგნოზო ნიშანი შმაგას ფოთლებისათვის?

1. უჯრედები კრისტალური ქვიშით
2. რეტორტისმაგვარი ბუსუსები
3. T-ს მაგვარი ბუსუსები
4. ცისტოლიტები

☒ რომელი სამკურნალო მცენარე ხასიათდება შემდეგი გარეგნული ნიშნებით:

მრავალწლოვანი წყლის მცენარე, ფოთლები გულისებრი ან მოგრძოგულისებრი, ყვავილები 4-5სმ დიამეტრის, სურნელოვანი.

1. *Nuphar luteum*
2. *Securinega suffruticosa*
3. *Cinchona succirubra*
4. *Claviseps purpurea*

☒ ქრომონები წარმოიქმნება:

1. ბენზოლური რგოლისა და  $\alpha$ -პირონის კონდენსაციით
2. ბენზოლური რგოლისა და  $\gamma$ -პირონის კონდენსაციით
3. ფურანისა და ბენზოლური რგოლების კონდენსაციით
4. ბენზოფურანისა და ბენზოპირანის კონდენსაციით

☒ როგორი ფიზიკური თვისებებით ხასიათდება ანტრაგლიკოზიდები?

1. შეფერადებული კრისტალური ნივთიერებები, კარგად ხსნადი ორგანულ

გამხსნელებში და უხსნადი წყალში

2. ამორფული, უფერო ნივთიერებები, ადვილად ხსნადი ცივ წყალში და ცხელ წყალში, თითქმის უხსნადი ორგანულ გამხსნელებსა და ტუტეებში

3. კრისტალური ნივთიერებები, კარგად ხსნადი წყალში, ტუტეებთან იძლევა ინტენსიური შეფერადების ხსნარებს

4. ზეთოვანი კონსისტენციის, არ იხსნება წყალსა და სპირტში

☒ მიუთითეთ სამკურნალო მცენარეულ ნედლეულში ანტრაგლიკოზიდების რაოდენობრივი განსაზღვრის ფარმაკოპეის მეთოდზე:

1. პოტენციომეტრია

2. პერმანგანატომეტრია

3. ფოტოკოლირიმეტრია

4. გრავიმეტრია

☒ რომელი სამკურნალო მცენარეული ნედლეული ხასიათდება შემდეგი

ანატომიური ნიშნებით: ბუსუსები დამეჭვებული ზედაპირით და დრუხები მეზოფილში, პრიზმული კრისტალები ძარღვების გასწვრივ?

1. ჭინჭარი

2. თრიმლი

3. სინამაქი

4. თუთუბო

☒ რას ეწოდება ანტრაცენწარმოებულები?

1. ფუძე ხასიათის რთულ ბუნებრივ შენაერთებს, რომლებიც თავის

შემადგენლობაში აზოტის ატომს შეიცავს

2. რთულ ბუნებრივ შენაერთებს, რომლებიც ცილებთან უხსნად კომპლექსს

წარმოქმნიან და გათრიმვლის უნარი გააჩნიათ

3. რთულ ბუნებრივ შენაერთებს \_ ქინოიდური სტრუქტურის წარმოებულებს

4. ბუნებრივ შენაერთებს, რომელთაც საფუძვლად უდევს ბენზო- $\alpha$ -პირონი

☒ რომელი რეაქციით შეიძლება ხეჭრელას ნედლეულში მოქმედი

ნივთიერებების აღმოჩენა?

1. მიკროსუბლიმაციით

2. ალუმინის ქლორიდის ხსნართან რეაქციით

3. ციანიდური რეაქციით

#### 4. ბალიეს რეაქციით

☒ რომელი მეთოდით საზღვრავენ სახ. ფარმაკოპეის მიხედვით სამკურნალო მცენარეულ ნედლეულში მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობას?

1. პერმანგანატომეტრული ტიტრაცია
2. ფოტოელექტროკოლორიმეტრია
3. სპექტროფოტომეტრია
4. გრავიმეტრია